სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში და კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში, კულტურის კვლევების კათედრაზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 6 აგვისტოს N173/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის N52/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი

"2" ოქტომბერი 2025 წ.

13.00 საათი, თსუ VIII კორპუსი, აუდიტორია №204

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5 წევრი:

პროფ. ქეთევან ხუციშვილი (კომისის თავმჯდომარე), პროფ. ნინო ჩიქოვანი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), დოქტ. მირიან ხოსიტაშვილი (კომისიის მდივანი), დოქტ. ნინო მინდაძე, პროფ. გიორგი კალანდია

დღის წესრიგი:

1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
   ა) კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კულტურის კვლევების კათედრის ასოცირებული პროფესორის (ა კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

ბ) ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის (ა კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ქეთევან ხუციშვილის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

1. ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კულტურის კვლევების კათედრის ასოცირებული პროფესორის (ა კატეგორია) 2 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 2 კანდიდატმა - ივანე წერეთელმა და ქეთევან კაკიტელაშვილმა.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითიდადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, ორი კანდიდატის - ივანე წერეთლის და ქეთევან კაკიტელაშვილის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

ივანე წერეთელმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის

მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3).

კომისიამ მიიჩნია, რომ **ივანე წერეთელს** მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია კულტურის კვლევების მიმართულებით სამეცნიერო და სასწავლო პროცესის კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კონცეპტუალური განვითარების გეგმის წარმატებით შესრულებაში. იგი ჩართულია სწავლების პროცესში სამივე საფეხურზე. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინსტიტუტის ბაზაზე დაფუძნებული პერიოდული გამოცემის "ცივილიზაციური ძიებანი" მუშაობაში. მისი სილაბუსები სრულ შესატყვისობაშია თსუ-ს მოთხოვნებთან.

ქეთევან კაკიტელაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3).

კომისიამ მიიჩნია, რომ **ქეთევან კაკიტელაშვილი** აქტიურად არის ჩართული კათედრის და მისი სასწავლო პროგრამების განვითარებაში. იგი მონაწილეობდა ინსტიტუტისა

და კათედრის მუშაობის მთავარი პრინციპების შემუშავებაში და წვლილს შეიტანს კვლევისა და სწავლების მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფაში; კვლევების ინტერნაციონალიზაციასა და ახალი თაობის კვლევისა და სწავლების პროცესში ჩართვაში. მისი მიმდინარე კვლევითი პროექტები გააძლიერებს საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

1. ბ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის (ა კატეგორია) 2 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 3 კანდიდატმა - როზეტა გუჯეჯიანმა, თეიმურაზ გვიმრაძემ და თეა ქამუშაძემ.

როზეტა გუჯეჯიანმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3). გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი როზეტა გუჯეჯიანის კანდიდატურას.

კომისიამ მნიშვნელოვნად მიიჩნია როზეტა გუჯეჯიანის აქტიური ჩართულობა ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო აქტივობებში. მის მიერ შემუშავებული რამდენიმე ახალი სასწავლო კურსი ჩართულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. იგი ეწევა ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის თემატიკის პოპულარიზაციას. მისი კვლევითი ინტერესები სრულად შეესაბამება ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო გეგმებს. ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

თეიმურაზ გვიმრაძემ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3).

კომისიამ მნიშვნელოვნად მიიჩნია თეიმურაზ გვიმრაძის მიერ განვლილი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავს ფართო ეთნოლოგიურ თემატიკას, რომელიც ასახულია მის სასწავლო კურსებსა და სამეცნიერო ნაშრომებში. ჩართულია სწავლების სამივე საფეხურის მუშაობაში, ეწევა დარგის პოპულარიზაციას როგორც უნივერსიტეტში ასევე საზოგადოების ფართო წრეებში. არის ეთნოლოგთა მრავალი თაობის აღმზრდელი და მისი პედაგოგიური უნარები ხელს შეუწყობს დარგის შემდგომ განვითარებას.

თეა ქამუშაძემ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო საშუალო შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო საშუალო შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო საშუალო შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაში არ არის გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3).

თეა ქამუშაძის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები ნაწილობრივ შეესაბამება თსუ-სა და ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სილაბუსებში აღწერილი შედეგები ვერ მიიღწევა წარმოდგენილი სასწავლო მასალით. თ. ქამუშაძის ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის დაზუსტებისას გამოიკვეთა ხარვეზი ციტირების ინდექსებთან დაკავშირებით.

გამოცხადებულ ვაკანსიებზე სრული წესების დაცვით ჩატარდა ფარული კენჭისყრა კომისიის წევრებმა დალუქეს ფარული კენჭისყრისთვის განკუთვნილი ყუთი და ხელი მოაწერეს ლუქს. ამის შემდეგ მათ ხელი მოაწერეს ყველა ბიულეტენს. კომისიის წევრებმა ცალ-ცალკე, ფარულად მიიღეს გადაწყვეტილება და მოათავსეს ბიულეტენები ყუთში. ამის შემდეგ ხმის დამთვლელი კომისიის წევრებმა გახსნეს ყუთი და დათვალეს ხმები.

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კულტურის კვლევების კათედრის ასოცირებული პროფესორის (ა კატეგორია) 2 საკონკურსო ადგილი:

1. ივანე წერეთელი - 5 ხმა
2. ქეთევან კაკიტელაშვილი - 5 ხმა

ბ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის (ა კატეგორია) 2 საკონკურსო ადგილი:

1. როზეტა გუჯეჯიანი - 5 ხმა
2. თეიმურაზ გვიმრაძე - 5 ხმა
3. თეა ქამუშაძე - 0 ხმა

საკონკურსო კომისიამ შეფასებისას გაითვალისწინა ივანე წერეთლის პედაგოგიური საქმიანობის მიმართება კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტთან, მის მიერ წარმოდგენილი რვა სილაბუსის შესატყვისობა ინსტიტუტის სასწავლო გეგმასთან და სამეცნიერო ინტერესებთან. ივანე წერეთელი მნიშვნელოვან საქმიანობას ასრულებს, როგორც

კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაზაზე 2003 წელს დაფუძნებული საერთაშორისო ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალის "ცივილიზაციური ძიებანი" სარედაქციო ჯგუფის აქტიური წევრი. იგი ჩართულია კულტურის კვლევების ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ საგრანტო კვლევით პროექტებში და პოპულარიზებას უწევს კულტურის კვლევების მიმართულებას ახალგაზრდებში. გასაუბრების ეტაპზე მან თავი წარმოაჩინა როგორც კვალიფიციურმა მკვლევარმა და ორატორმა.

საკონკურსო კომისიამ შეფასებისას გაითვალისწინა ქეთევან კაკიტელაშვილის სამეცნიერო აქტიურობა, მისი ჩართულობა სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით პროექტებში. მისი სამეცნიერო პუბლიკაციები იბეჭდება იმპაქტფაქტორის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში, მის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი სტატია "Georgian Israelites or Jews of Georgia Religious and National Dimensions of the Georgian-Jewish Identity", დაბეჭდილია ჟურნალში Journal of Religions in Europe, (vol.14, გვ. 339-366, 2021), რომლის იმპაქტ-ფაქტორი 0,4-ია. ქ. კაკიტელაშვილს წარმოდგენილი აქვს მის მიერ შემუშავებული და სასწავლო პროგრამაში შემოტანილი 9 სილაბუსი. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო კვალიფიკაცია ხელს შეუწყობს კულტურის კვლევების ინსტიტუტის შემდგომ განვითარებას.

საკონკურსო კომისიამ შეფასებისას გაითვალისწინა როზეტა გუჯეჯიანის პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილება, მის მიერ წარმოდგენილი 12 სილაბუსის შესაბამისობა ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო კურიკულუმებთან, მისი მონაწილეობა ამ კურიკულუმების შექმნაში, ახალი სასწავლო კურსების განვითარება და დამკვიდრება. რ. გუჯეჯიანის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია მიესადაგება ინსტიტუტის სამეცნიერო განვითარების ინტერესებს. მისი კვლევები ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და ხელს უწყობს სამეცნიერო კადრების მომზადებას. მისი ხელმძღვანელობით დაცულია სადოქტორო დისერტაციები, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები. გასაუბრებისას რ. გუჯეჯიანმა წარმოაჩინა მეტყველების მაღალი კულტურა და გადმოცემის უნარი, რაც მიმზიდველს ხდის მის სალექციო კურსებს. რ. გუჯეჯიანი კარგად იცნობს უნივერსიტეტის სტრუქტურასა და მართვის სისტემას. იგი არის დიასპორების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი და მნიშვნელოვან საქმეს ეწევა საზღვარგარეთ

ქართველოლოგიური კვლევების პოპულარიზაციისა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების ყოფითი კულტურის კვლევაში. მისი პროფესიული უნარ-ჩვევები და სამეცნიერო და საექსპერტო საქმიანობა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის, არამედ ზოგადად თსუ-ს აკადემიურ წინსვლას.

საკონკურსო კომისიამ შეფასებისას გაითვალისწინა თეიმურაზ გვიმრაძის ხანგრძლივი პედაგოგიური სტაჟი და მისი წვლილი ეთნოლოგიის სწავლებისა და ეთნოლოგიური კვლევების განვითარებაში. მან წარმოადგინა 9 სილაბუსი, მათგან სამი ახალი სასწავლო კურსების სილაბუსებია (საბაკალავრო კურსები: "ეთნოგრაფიული თბილისი" და "სპორტული თამაშობა-სანახაობანი და სამხედრო ასპარეზობები საქართველოში", და სამაგისტრო კურსი "ქალაქების ეთნოლოგიური კვლევა"), რომლებიც თ. გვიმრაძემ შეიმუშავა და შეტანილია სასწავლო პროგრამებში. იგი არის ხუთი მონოგრაფიის ავტორი, რომელთა თემატიკა სრულ თანხვედრაშია ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სწავლებისა და კვლევის გეგმასთან. თ. გვიმრაძის საჯარო ლექციები ეთნოლოგიური კვლევების პოპულარიზაციასთან ერთად, თსუ-ს და ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. თ. გვიმრაძის საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომი, მონოგრაფია - ქართული ეთნოსის გადარჩენის მიზეზები, (გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2025, ISBN978-9941-525-27-8) რომელიც ხანგრძლივ კვლევაზეა დაფუძნებული, მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავს და მისი სასწავლო პროცესთან ინტეგრირება ხელს შეუწყობს ეთნოლოგიის სფეროში სათანადო ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდების მომზადებას. თ. გვიმრაძემ გასაუბრების ეტაპზე გამოავლინა თსუ სტრუქტურისა და მართვის სისტემის ღრმა ცოდნა. იგი არის ინსტიტუციური მეხსიერების მატარებელი და მისი ურთიერთობა ახალგაზრდა თაობასთან მნიშვნელოვანია ინსტიტუციური განგრძობითობის უზრუნველსაყოფად.

საკონკურსო კომისიამ შეფასებისას გაითვალისწინა თეა ქამუშაძის მიერ წარმოდგენილი მონაცემები და ასევე გასაუბრებისას დაზუსტებული ინფორმაცია. თ. ქამუშაძემ წარმოადგინა სამი სილაბუსი, რომელთაგან მხოლოდ ერთი ("ტოლერანტობა და მრავალფეროვნება") შესაბამება სახელწოდებით ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო

ინსტიტუტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმს. დანარჩენი ორი არ არის შესაბამისობაში სასწავლო პროგრამის კურსებთან, ამასთან, არ შესაბამება თსუ-ს მოთხოვნებს სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის და მასალების სიმწირის გამო, რაც არ იძლევა საშუალებას განხორციელდეს ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სასწავლო პროგრამების მიზნები და მიღწეულ იქნას პროგრამების მიერ განსაზღვრული სწავლების შედეგები. თ. ქამუშაძის სამეცნიერო ინტერესები ძირითადად პოსტ-საბჭოთა კვლევების სფეროთი შემოიფარგლება და ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო ინტერესების მცირე ნაწილს მოიცავს. გასაუბრების ეტაპზე გაირკვა, რომ თ. ქამუშაძის ანკეტაში არ იყო მითითებული ზუსტი ინფორმაცია ციტირების ინდექსთან დაკავშირებით.

ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კულტურის კვლევების კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში ორ ვაკანსიაზე გამარჯვებულად გამოვლინდნენ: **ივანე წერეთელი** და **ქეთევან კაკიტელაშვილი**

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში ორი ვაკანსიაზე გამარჯვებულად გამოვლინდნენ: **როზეტა გუჯეჯიანი** და **თეიმურაზ გვიმრაძე**

3. შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე:

ქეთევან ხუციშვილი _____

მოადგილე:

ნინო ჩიქოვანი _____

წევრები:

ნინო მინდაძე _____

გიორგი კალანდია _____

კომისიის მდივანი:

მირიან ხოსიტაშვილი _____

თარიღი: 2.10.2025